



**წარმომადგენლობითი საბჭო**

**დადგენილება № 15**

**13 ოქტომბერი 2020 წ.**

**ქ. ზუგდიდი**

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მომართვისა და სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 13 ოქტომბრის №11 სხდომის ოქმის საფუძველზე

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. წარედგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის დამტკიცებული გეგმა.
2. დადგენილება გადაეცეს უნივერსიტეტის რექტორს(თ.ხუფენია), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს(ზ. ქორთუა), იურიდიული სამსახურის უფროსს (რ.პერტია).
3. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (თბილისი, უზნაძის ქ. №52).

ლარისა თირქია

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი



2. 9

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
თავმჯდომარეს ასოცირებულ პროფესორ ლარისა თირქიას

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზაალ ქორთუას

## ანგარიში

### სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2019 წლის 07 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის, სასწავლო სახელოსნოსა და საერთო საცხოვრებლის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. შემოწმების საფუძველზე შედგენილ იქნა N 1050, N 1051 და N1052 მოწერილობები. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 17 იანვრის #02-01/01 ბრძანებით განისაზღვრა ზემოთ აღნიშნული მოწერილობების სრულად უზრუნველყოფის მიზნით საპროექტო ღონისძიებების განხორციელება. სასწავლო უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სპეციალისტს ონისე გულორდავას დაევალა შესაბამისი პროექტების მომზადების მიზნით ბაზრის კვლევა და აღნიშნულთან დაკავშირებით თანამშრომლობა შესყიდვების სამსახურთან (მ.დიდიშვილი).

შესყიდვების სამსახურის უფროსს (მ.დიდიშვილი) დაევალა აღნიშნული მიმართულებით სატენდერო წინადადებების და შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება არა უგვიანეს 2020 წლის 01 აპრილისა.

2020 წლის 2 და 17 მარტს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სახანძრო უსაფრთხოების ქსელის საინჟინრო დაპროექტება-დაგეგმარების მიზნით გამოაცხადა ტენდერები. (ტენდერი **Nat N200005144**—2 მარტი და ტენდერი **Nat N200006161**—17 მარტი) გამოცხადებულმა ტენდერებმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გასწორებულ იქნა გარკვეული ხარვეზები, რაც დაფიქსირდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოწერილობებში: კერძოდ. გაკეთდა ახალი საევაკუაციო გეგმები სასწავლო სახელოსნოსა და საერთო საცხოვრებელში, მოხდა A ტიპის ცეცხლმაქრების გადატუმბვა-განახლება.

დაგეგმილია ტენდერის პირობების ცვლილება-გამარტივება და უახლოეს ხანებში ახალი ტენდერის გამოცხადება.

სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და შესათანხმებლად წარედგინა კომპეტენტურ ორგანოს.

პატივისცემით,

/ ზ. ქორთუა/